მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N6

ქ.წალენჯიხა

30 მარტი 2015 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 29 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 27დეპუტატი: გონერ კვარაცხელია, ასმათ კვარაცხელია,ვლადიმერ გაბელია, დალი კვარაცხელია, ილია გულუა, ანზორ ფიფია, ვახტანგ ქუჩულორია, მერაბ კვარაცხელია, დავით ბელქანია, ლევან ფიფია, დარეჯან დადიანი, ნესტან გოგოხია, ივერ კვარაცხელია, ბესიკ ფარცვანია, ბორის კვარაცხელია , ბაჩუკი უბილავა, მალხაზ ფიფია, დავით ფიფია, ლევან შელია, ცოტნე მესხია, კობა შანავა, ვლადიმერ კვარცხელია, ნონა კვარაცხელია, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია, მარინა კალანდია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოგა გულორდავა, გამგებლის მოადგილე გიორგი ლუკავა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების, ა(ა)იპ –ების , საზოგადოების, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 13:00სთ.
სხდომა დასრულდა: 15 :50_სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

საკრებულოს წევრების მიერ სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე საკრებულოს წევრმა ელგუჯა მესხიამ მოითხოვა დღის წესრიგით გათავლისწინებულ სხვადასხვა საკითხზე განცხადებისთვის დროის დათმობა.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 მარტის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე.

მომხსენებელი:თემურ ღვინჯილია–საკრებულოს თავმჯდომარე

2.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: ვ.გაბელია–იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 იანვრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ვ.გაბელია– იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ვ.გაბელია–იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

5. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 სექტემბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: ვ.გაბელია–იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

6. ზოგიერთი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე.

მომხსენებელი: ვ.გაბელია–იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

7. ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის თაობაზე;

მომხსენებელი:ვ. გაბელია-იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

8. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და დასუფტავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი : ხ.მებონია

გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

9. „ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის N115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი : დ. სოსელია

გამგეობის შესყიდვების განყოფილების უფროსი

10. საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასის განსაზღვრის და მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი : ხ.მებონია

გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

11. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი : ხ.მებონია

გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

12. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი : ხ.მებონია

გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

13. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი : ხ.მებონია

გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

14. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების ავტოგრეიდერი VOLVO G740–ის გაქირავებისას ქირის საფასურის განსაზღვრაზე თანხმობის მიცემის შესახებ

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი : ხ.მებონია

გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

15. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი : ხ.მებონია

გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

16.სხვადასხვა

მოისმინეს: 2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N13) .

მოისმინეს: 3. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 იანვრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 26 დეპუტატი, წინააღმდეგი 1 , ავთანდილ გაბელია) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N14) .

მოისმინეს: 4. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 26 დეპუტატი, წინააღმდეგი 1 , ავთანდილ გაბელია) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N15) .

მოისმინეს: 5. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 სექტემბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N16) .

მოისმინეს: 6 . ზოგიერთი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N17) .

მოისმინეს: 7 . ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის თაობაზე;

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N14) .

მოისმინეს: 7 . წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა ხვიჩა მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ გ–ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N18) .

მოისმინეს: 8 . „ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის N115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის შესყიდვების განყოფილების უფროსმა დავით სოსელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ გ–ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი 2, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N15) .

მოისმინეს: 9 . საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასის განსაზღვრის და მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა ხვიჩა მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ გ–ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N19) .

მოისმინეს: 10 . წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა ხვიჩა მებონიამ.

საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ დალი კვარაცხელიამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოადგინა კომისიის დასკვნა, სადაც აღნიშნა რომ ქ. წალენჯიხა სალიას ქუჩაზე (29.0 მ²) მდებარე არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით , საკითხი შესწავლილ იქნეს შესაბამისი

სამსახურის მიერ და დროებით შეჩერებულ იქნეს აღნიშნული მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში შეტანა. საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N16) .

მოისმინეს: 11. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა ხვიჩა მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N17) .

მოისმინეს: 12. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა ხვიჩა მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი 3, მარინა კალანდია, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია). მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N18) .

მოისმინეს: 13. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების ავტოგრეიდერი VOLVO G740–ის გაქირავებისას ქირის საფასურის განსაზღვრაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა ხვიჩა მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრმა ავთანდილ გაბელიამ მოითხოვა განმარტება თუ ვის დაქვემდებარებაში იყო გრეიდერი და რა სამუშაოებს ასრულებდა სანამ ა(ა)იპ წალენჯიხის დასუფთავების სამსახურს გადაეცემოდა.

გამგებელმა გოგა გულორდავამ განუმარტა, რომ გრეიდერი იყო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და ქონების განკარგვის წესის მიღებისთანავე გადაეცა შესაბამის ა(ა)იპ-ს სარგებლობაში.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი 3, მარინა კალანდია, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია). მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N19) .

მოისმინეს: 14. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა ხვიჩა მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი 3, მარინა კალანდია, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია).მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N20) .

მოისმინეს: 15. სხვადასხვა

საკრებულოს წევრი ელგუჯა მესხია გამოეხმაურა და შეურაცმყოფელი უწოდა პრემიერ მინისტრის მიერ გაკეთებულ განცხადებას ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ 2015 წლის 21 მარტს ჩატარებულ აქციასთან დაკავშირებით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის „სექტა"–დ მოხსენიების თაობაზე.

საპასუხოდ, საკრებულოს წევრმა ივერ კვარაცხელიამ ნაციონალური მოძრაობას შეახსენა ერთიანი ნაციონალურ მოძრაობის ცხრა წლიანი რეჟიმის პერიოდი.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს თავმჯდომარე: **თემურ ღვინჯილია**

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

30 მარტი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N13

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 მარტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 24–ე მუხლის, მეორე ნაწილის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად,

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

I. დამტკიცდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 30 მარტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 მარტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე;

მომხსენებელი: თემურ ღვინჯილია–მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

2.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ვ.გაბელია–იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 იანვრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ვ.გაბელია–იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ვ.გაბელია–იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

5.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 სექტემბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: ვ.გაბელია–იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

6. ზოგიერთი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე.

მომხსენებელი: ვ.გაბელია–იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

7. ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის თაობაზე;

მომხსენებელი:ვ. გაბელია-იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

8. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და დასუფტავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის შესახებ.მომხსენებელი: გოგა გულორდავა–მუნიციპალიტეტის გამგებელი, თანამომხსენებელი ხ.მებონია8. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის N115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი:გოგა გულორდავა-მუნიციპალიტეტის გამგებელი, თანამომხსენებელი დ.სოსელია

9. საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასის განსაზღვრის და მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: გოგა გულორდავა–მუნიციპალიტეტის გამგებელი

10. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: გოგა გულორდავა–მუნიციპალიტეტის გამგებელი, თანამომხსენებელი ხ.მებონია

11. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხსენებელი: გოგა გულორდავა–მუნიციპალიტეტის გამგებელი, თანამომხსენებელი ხ.მებონია

12. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: გოგა გულორდავა–მუნიციპალიტეტის გამგებელი, თანამომხსენებელი ხ.მებონია

13. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების ავტოგრეიდერი VOLVO G740–ის გაქირავებისას ქირის საფასურის განსაზღვრაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: გოგა გულორდავა–მუნიციპალიტეტის გამგებელი, თანამომხსენებელი ხ.მებონია

14. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: გოგა გულორდავა–მუნიციპალიტეტის გამგებელი, თანამომხსენებელი ხ.მებონია

15.სხვადასხვა.

II. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე.

III. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ.ქობალია ქ. 12).

საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13

2015 წლის 30 მარტი

ქ. წალენჯიხა

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N14 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/07/2014, სარეგისტრაციო კოდი 010250040.35.104.016160):

ა) დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 32-ე მუხლის მე–2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კონკრეტული საკითხების დასამუშავებლად, საკრებულოს ბიუროს მიერ განსაზღრული კვოტების ფარგლებში, კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, საკრებულოს თავმჯდომარე შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე კომისიაში სამუშაოდ იწვევს კონსულტანტებს;“

ბ) 35-ე მუხლის მე-10 პუნქტი–შემდეგი რედაქციით:

„10. ფრაქციის რეგისტრაციისათვის საჭიროა ფრაქციის თავმჯდომარისა და ფრაქციაში გაერთიანებულ საკრებულოს წევრთა წერილობითი განცხადება და ფრაქციის წესდება.“

გ) 51-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) მუნიციპალიტეტის გამგეობლის ინიციატივით;“

დ) 87-ე მუხლის მე–2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. [illegible] ობიექტს საკრებულოს სხდომაზე წარადგენს გამგებელი, თანამოხსენებას–საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ან ამ კომისიის მიერ დანიშნული მომხსენებელი, რომელიც საკრებულოს სხდომას აცნობს საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნას.“

ე) 90-ე მუხლის მე–2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საკრებულოს აპარატი რეგისტრაციაში ატარებს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს და რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში რეგლამენტის 135-ე მუხლით დადგენილი წესით აქვეყნებს საჯარო განხილვისთვის . ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად, თუ საკრებულოს მოთხოვნით მოთხოვნით მოწვეული იყო დამოუკიდებელი აუდიტი, სავალდებულოა გამოქვეყნდეს დამოუკიდებელი აუდიტი. სავალდებულოა გამოქვეყნდეს დამოუკიდებელი აუდიტის შემოწმებული მასალები და დასკვნა ადგილობრივი თვითმმართველობის

ორგანოების საფინანსო საქმიანობის შესახებ, აგრეთვე ცნობა რომელშიც მითითებული უნდა იყოს საკრებულოს ის კომისია (კომისიები), რომელსაც გადაეცა ანგარიში განსახილველად, კომისიაში ანგარიშის განხილვის ვადები, კომისიის (კომისიათა) ადგილსამყოფელი და სხდომის გრაფიკი, ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე გატანის დრო, საკრებულოს აპარატის მისამართი სადაც შეიძლება წარდგენილ იქნეს მოსაზრებები ანგარიშთან დაკავშირებით, მოსაზრებების წარდგენის ვადა."

3) რეგლამენტის მე-13 მუხლის პირველ, მე–5 და მე–7 პუნქტებში, 27-ე მუხლის მე–4 პუნქტში, 35-ე მუხლის მე–14 პუნქტში, 65-ე მუხლის მე–5 პუნქტში, 93-ე მუხლის პირველ და მე–2 პუნქტებში, 98-ე მუხლის მე–8, მე–9, მე–10 და მე–11 პუნქტებში სიტყვები: „სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის" შეიცვალოს სიტყვებით „იურიდიული სამანდატო და საპროცედურო საკითხთა;"

მუხლი 2.

დადგენილება ძალაშია, გამოქვეყნებისთანავე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ლვინჯილია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14

2015 წლის 30 მარტი

ქ. წალენჯიხა

,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 იანვრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის"61-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს,

მუხლი 1.

შეტანილიქნეს ცვლილება, ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 იანვრის N5 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 02/02/2015, სარეგისტრაციო კოდი 190040000.35.104.016217):

ა) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 (წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობები) 1-ლი გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №1

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობები

N	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობთა სარგოები
	მთავარი საჯარო თანამდებობა	
1	გამგებელი	2650

ბ) დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 1 ივლისიდან“

მუხლი 2.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ლვინჯილია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №15

2015 წლის 30 მარტი

ქ. წალენჯიხა

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს,

მუხლი 1.

შეტანილიქნეს ცვლილება, „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 იანვრის N2 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 02/02/2015, სარეგისტრაციო კოდი 010320000.35.104.016218):

ა) დადგენილების მე-2 მუხლის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 1 ივლისიდან".

მუხლი 2.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №16

2015 წლის 30 მარტი

ქ. წალენჯიხა

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 სექტემბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“61-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს,**

მუხლი 1.

შეტანილიქნეს ცვლილება „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 სექტემბრის N45 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 06/10/2014, სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.104.016191) და დადგენილებით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის 3–ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის მისამართია: **www.tsalenjikha.ge”**

მუხლი 2.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №17

2015 წლის 30 მარტი

ქ. წალენჯიხა

ზოგიერთი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემდეგი ნორმატიული აქტები:

ა) „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვის და სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 ნოემბრის N39 დადგენილება;

ბ) „აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, პირობებით აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, სარგებლობის უფლებით ქონების გადაცემის შესახებ გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 ნოემბრის N40 დადგენილება.

მუხლი 2.

დადგენილება ძალაშია, გამოქვეყნებისთანავე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: **თემურ ღვინჯილია**

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

30 მარტი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N14

ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის თაობაზე

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის N525 ბრძანებულების მე-6 მუხლის შესაბამისად,

1. შეიქმნას ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ბესიკ ფარცვანია-კომისიის თავმჯდომარე, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი
ბ) ლევან შელია-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
გ) ბაჩუკი უბილავა-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
დ) ვახტანგ გუჩუა- სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის სპეციალისტი;
ე) ხვიჩა მებონია-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

2. განკარგულება ძალაშია, გაცნობისთანავე;
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. (მის. ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N12)

საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №18

2015 წლის 30 მარტი

ქ. წალენჯიხა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 93-ე მუხლის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ", საქართველოს კანონის მე-3 და მე-5 მუხლების, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 და 25-ე მუხლების შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებულიქნეს:

ა) მოსაკრებელი მშენებლობის(გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის.

ბ) მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის.

გ) მოსაკრებელი სათამაშო ბიზნესისათვის.

2. მოსაკრებლების ოდენობა განისაზღვროს:

ა)მშენებლობის ნებართვისათვის-ახლადასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართის თითოეულ კვადრატულ მეტრზე 1 ლარით.

ბ) დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური პირებისათვის მოსაკრებლის განაკვეთი განისაზღვროს ერთ სულ მოსახლეზე თვეში 0,30 ლარის ოდენობით.

გ) სათამაშო ბიზნეზისათვის-თითოეულ სათამაშო აპარატზე,კვარტალში 200 ლარით. ტოტალიზატორის,ბინგოს ლოტოს თითოეულ სალაროზე კვარტალში 900 ლარით,თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე საპრიზო ფონდის 10%-ი.

მუხლი 2.

დამტკიცდეს:

ა) მოსაკრებლის გადახდის თანდართული ინსტრუქცია /დანართი N1/;

ბ) იურიდიული პირებისათვის დაკავებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი დანართი N2-ის შესაბამისად;

მუხლი 3.

ამ დადგენილების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 სექტემბრის №47 დადგენილება „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასახლებულის ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლების შემოღების, მისი გადახდის ინსტრუქციისა და მოსაკრებლის გადახდის დამტკიცების თაობაზე."

მუხლი 4.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: **თემურ ღვინჯილია**

დანართი №1

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასახლებულის ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადასახადის ინსტრუქცია

ინსტრუქცია შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე და განსაზღვრავს საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმომქმნელთა მიერ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის წესს.

მუხლი 1. ზოგადი ნაწილი

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმომქმნელთა მიერ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია (შემდგომში ინსტრუქცია) აწესრიგებს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმომქნელთა მიერ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდევინებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოსაკრებლის გადახდის წესს და მოსაკრებლის გადამხდელთა უფლება-მოვალეობებს.

2. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი /შემდგომში – მოსაკრებელი/ წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გაწეული მომსახურების დაწესებულ დაწესებულ საფასურს.

3. ნარჩენების წარმომქმნელი იურიდიული პირი ვალდებულია ხელშეკრულება გააფორმოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან და მოსაკრებელი გადაიხადოს დადგენილ ვადებში.

4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობას შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ ნარჩენების წარმომქმნელი იურიდიული პირი 3 თვის განმავლობაში არ იხდის დასუფთავების მოსაკრებელს.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის არსებობის შემთხვევაში წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წერილობითი შეტყობინება ეგზავნება იურიდიულ პირს რათა მისცეს მას 15-დღიანი ვადა აღნიშნული დარღვევის გამოსასწორებლად და მხოლოდ ამ ვადის გასვლის შემდეგ, შესაბამისი იურიდიული პირიდან დავალიანების დაფარვის დამადასტურებელი დოკუმენტის ვერწარმოდგენის შემთხვევაში გაწყვიტოს მასთან ხელშეკრულება ცალმხრივად. ამასთან დასუფთავების მოსაკრებლის გადაუხდელობა და გადახდის ვადების დარღვევა დამრღვევს ჩაეთვლება დადებული ხელშეკრულების და დასუფთავების წესების დარღვევად და დამრღვევის მიმართ გამოყენებული იქნება საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი ნორმებით გათვალისწინებული სანქციები.

მუხლი 2. მოსაკრებლის გადამხდელი

მოსაკრებლის გადამხდელია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმომქნელი ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი.

მუხლი 3. მოსაკრებლის განაკვეთი, მისი გამოანგარიშებისა და გადახდის წესი

1. მოსაკრებლის განაკვეთი, როგორც წესი, დგინდება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ტერიტორიის დასუფთავებისათვის კალენდარული წლისათვის საჭირო ხარჯების შესაბამისად.

2. მოსაკრებელი გამოიანგარიშება მოსახლეობისათვის სულადობის მიხედვით, ხოლო იურიდიული პირებისათვის დაგროვებული წონის, მოცულობის ან/და ნარჩენების დაგროვების ნორმის, ნარჩენების სახეობის მიხედვით, აგრეთვე, ნარჩენების წარმომქმნელის შემოსავლის, ქონების, დაკავებული ფართობის, დასაქმებული პერსონალის რაოდენობის, საქონლის (მომსახურების) მომხმარებელთა რაოდენობის, მიღებული სხვა საბინაო-კომუნალური მომსახურების მოცულობის (ღირებულების) და ა.შ. მიხედვით; მოსაკრებლის ოდენობის დადგენისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ამ სიდიდეების კომბინაციებიც.

3. მესაკუთრე ფიზიკური პირი (გარდა მეწარმე ფიზიკური პირისა), რომლის საკუთრებეშიც წარმოიქმნება ნარჩენი, ვალდებულია წარმომქმნელთა რაოდენობის ცვლილების შესახებ 30 კალენდარული დღის განმავლობაში აცნობოს მოსაკრებლის გადახდევინებისათვის პასუხისმგებელ სამსახურს ან საამისოდ უფლებამოსილ პირს.

4. ნარჩენების წარმომქმნელი ოჯახის სულადობის შეცვლის შემთხვევაში მიმდინარე თვის მოსაკრებელი იფარება ცვლილების გაუთვალისწინებლად.

5. თუ კი წინასწარ გადახდილი თანხა , რომელიც შეტანილი იყო მოსაკრებლის ახალი განაკვეთის ძალაში შესვლისას უფრო მცირეა, ვიდრე გადახდის დღისათვის არსებული, სხვაობა უნდა დაიფაროს განაკვეთის ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში. თუკი წინასწარ გადახდილი თანხა, რომელის შეტანილი იყო ახალი განაკვეთის ძალაში შესვლამდე, აღემატება ახალ ამოქმედებულ განაკვეთს, სხვაობა განაკვეთის ამოქმედების შემდეგ უნდა გამოაკლდეს ახალი განაკვეთის თანხას.

მუხლი 4. მოსაკრებლის გადახდის ვალდებულების წარმოქმნა, შეცვლა და მისი გადახდისაგან გათავისუფლება

1. მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება წარმოიქმნება მოსახლეობისათვის მომსახურეობის ერთი თვის განმავლობაში მიღების შემდეგ. იურიდიული პირებისათვის– მომსახურეობის მიღებისთანავე.

2. მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება წყდება ნარჩენების წარმომქმნელთა მიერ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების წარმოქმნის შეწყვეტის შემდეგ, თვის დასრულებისთანავე.

3. ნარჩენების წარმომქმნელთა მიერ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების წარმოქმნის ადგილის შეცვლის შემთხვევაში მოსაკრებელი გადაიხდება ნარჩენის წარმოქმნის იმ ადგილის მიხედვით, სადაც მიიღო მომსახურების 50 პროცენტზე მეტი.

4. მოსაკრებლის გადამხდელ ფიზიკურ პირს (მეწარმე ფიზიკური პირის გარდა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ერთი თვეზე მეტი ხნით გასვლის შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს მოსაკრებლის შესაბამისი ოდენობით შემცირება, რისთვისაც იგი წინასწარ წერილობით მიმართავს მოსაკრებლის გადახდევინებისათვის პასუხისმგებელ სამსახურს ან საამისოდ უფლებამოსილ პირს. წერილობით მიმართვაში დაფიქსირებული უნდა იყოს მოსახლის ქალაქში არყოფნის ვადა. ამ ვადის ცვლილების შემთხვევაში მოსაკრებლის გადამხდელი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს შესაბამის სამსახურს.

მუხლი 5. მოსაკრებლის გადახდის პერიოდულობა და ვადები

1. მოსაკრებლის გადახდა წარმოებს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე.

2. მოსაკრებელი გადაიხდევინება თვეში ერთხელ, თვის ბოლო კალენდარული დღის მეორე დღიდან 20 დღის ვადაში.

3. გადამხდელს შეუძლია მოსაკრებელი გადაიხადოს წინასწარ.

მუხლი 6. პასუხისმგებლობა მოსაკრებლის გადახდევინებისათვის

მოსაკრებლის გადახდევინების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება გამგეობის შესაბამის სამსახურს.

მუხლი 7. ინსტრუქციის მიღება და მასში ცვლილებების შეტანა

1. მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

2. ინსტრუქციაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი N2

დასუფთავების მოსაკრებლის ტარიფები

№	სამეწარმეო საქმიანობა	ზომის ერთეული	მოსაკრებლის განაკვეთი თვეში (ლარებში)	შენიშვნა
1.	მუზეუმები, ბიბლიოთეკები, არქივები	საერთო ფართობი m^2	0,03	
2.	სახელმწიფო ორგანიზაციები	საერთო ფართობი m^2	0.50 ან ნარჩენის 1 მ3 –ზე 25 ლარი	
3.	ოფისები, სააგენტოები, ბანკები, საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები	საერთო ფართობი m^2	0,5	
4.	კინოთეატრები და თეატრები	მაყურებლის ერთი სავარძელი	0,15	
5.	სკოლები, ინტერნატები, ბაგა-ბაღები (კერძო)	ერთ მოსწავლეზე	0,1	
6.	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები: უნივერსიტეტები, ინსტიტუტები. პროფესიული სასწავლებლები, კოლეჯები	ერთ სტუდენტზე	0.15 ან ნარჩენის 1 მ3 –ზე 25 ლარი	
7.	სასტუმროები (რესტორნის გარეშე)	მომსახურების ერთეული (ერთი საწოლი)	3	
8.	საავადმყოფოები	ნარჩენის 1 m^3	25 ლარი	
9.	პოლიკლინიკები, სტომატოლოგიური და სხვა სამედიცინო კაბინეტები, სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრი	საერთო ფართობის 1 კვმ	1	
10.	აფთიაქები	საერთო ფართის1 m^2	0,5	
11.	სტადიონები, ღია ტიპის სპორტული მოედნები	საერთო ფართობის 1 m^2	0,1	
12.	დახურული ტიპის სპორტული დარბაზები	1 m^3	25 ლარი	
13.	სასურსათო და სხვა დასახელების მარკეტები	1 m^2	0,30	
14.	ოქროს სავაჭრო ბირჟები, ლომბარდი	საერთო ფართის 1 m^2	1	
15.	აგრარული ბაზრები	საერთო ფართობის 1	0.10	

		$м^2$		
16.	შერეული საქონლის ბაზრობები	საერთო ფართობის 1 $м^2$	0.15	
17.	ავტოსადგომები	1 $м^2$	0,4	
18.	ბენზინგასამართი სადგურები	1 $м^2$	0.8	
19.	აბანოები, საუნები	1 $м^2$	0,5	
20.	სადალაქოები, სილამაზის სალონები	1 $м^2$	0.5	
21.	რესტორნები, კაფე-ბარები, სასადილოები და სწრაფი კვების ობიექტები (შაურმა)	1 $м^2$	0,20	
22	ტოტალიზატორები, სისტემურ ელექტრონული აპარატები და სხვა სათამაშო კლუბები	1 $м^2$	1	
23	საცხობები და საკონდიტროები	1 $м^2$	1	
24	რკინიგზის და საავტომობილო სადგურები	1 $м^2$	25	
25	სამხედრო ნაწილები, პენიტენციალური სისტემა	1 $м^2$	25	
26	ავტოტექმომსახურების სადგურები, სახელოსნო, ავტოსამრეცხაო	1 $м^2$	0,5	
27	მშენებარე ობიექტები	ფართის 1 $м^2$-ზე	0.5	
28	საბითუმო საწყობი, მაცივარი, ბაზა	1 $м^2$	0.3	
29	საბანკეტო დარბაზები	1 $м^2$	0.1	
30	სადურგლო, მეტალოპლასტმასის, მინის დაჭრის და სხვა სახელოსნო	საერთო ფართობის 1 კვმ	1	
31	თხილის გადამამუშავებელი საწარმოები	1 $м^2$	0,10	სეზონურად

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 30 მარტი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N15

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის N115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“–ს და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად,

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის N115 განკარგულებაში და განკარგულებით დამტკიცებული დანართი N1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით. /დანართი 9 ფურცლად/.

2. მუნიციპალიტეტის გამგეობამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს ადგილობრივი შესყიდვების გეგმის წარდგენა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში.

3. განკარგულების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიას.

4. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გ.ალიბეგაშვილის ქ. 12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: თეიმურ ღვინჯილია

"დამტკიცებულია"
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2015 წლის 30 მარტის №15 განკარგულებით

საკრებულოს თავმჯდომარე თ. ტკინჯილია

სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა

	შემსყიდველი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი 242739248
	დაფინანსების წყარო *ცენტრალური ბიუჯეტი*
შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება *წალენჯიხის მუნიციპალიტეტი*	

სახელმწიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული ჯამური თანხა დაფინანსების წყაროს შესაბამისად 1387070 ლარი

№	დანაყოფის კოდი	დანაყოფის დასახელება	სავარაუდო ღირებულება	შესყიდვის საშუალება	შესყიდვის დაწყების სავარაუდო ვადა	შესყიდვის ობიექტის მიწოდების სავარაუდო ვადა	შენიშვნა
1	45200000	სამშენებლო სამუშაოები სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ	673000	გამარტივებული შესყიდვა	IV კვარტალი 2014 წ	II კვარტალი 2015 წ	საქართველოს მთავრობის განკარგულება №2033. 7.11. 2014 წ. გარდამავალი.
2	45200000	სამშენებლო სამუშაოები	67000	გამარტივებული შესყიდვა	III კვარტალი 2014 წ.	I კვარტალი 2015 წ	საქართველოს მთავრობის განკარგულება №34. 13.01. 2014 წ. გარდამავალი ხელშეკრულება

3	45233142	გზის შეკეთების სამუშაოები	101000	ელექტრონული ტენდერი	II კვარტალი 2014 წ.	II კვარტალი 2015 წ	საქართველოს მთავრობის განკარგულება №311. გარდამავალი ხელშეკრულება
4	45200000	სამშენებლო სამუშაოები სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ	400000	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი 2015 წ	III კვარტალი 2015 წ	საქართველოს მთავრობის განკარგულება №2551. 30.12.2014 წ. გარდამავალი.
5	71320000	საპროექტო საინჟინრო მომსახურება და საექსპერტო მომსახურება	146070	გამარტივებული ელ. ტენდერი	I კვარტალი 2015 წ	II კვარტალი 2015 წ	საქართველოს მთავრობის განკარგულება № 39. 2015 წლის 20 იანვარი

"დამტკიცებულია"
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2015 წლის 30 მარტის N 15 გადწყვეტილებით

საკრებულოს თავმჯდომარე თ. ფეიქრიშვილი

2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა

	შემსყიდველი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი *242739248*
შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება *წალენჯიხის მუნიციპალიტეტი*	დაფინანსების წყარო *ადგილობრივი ბიუჯეტი*

სახელმწიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული ჯამური თანხა დაფინანსების წყაროს შესაბამისად 996400-ლარი

N	დანაყოფის კოდი	დანაყოფის დასახელება	საგარაუდო ღირებულება	შესყიდვის საშუალება	შესყიდვის დაწყების საგარაუდო ვადა	შესყიდვის ობიექტის მიწოდების საგარაუდო ვადა	შენიშვნა
1	30100000	საკანცელარიო ნივთები	9000	გამარტივებული ელ-ტენდერი	I კვარტალი	IV კვარტალი	
2	30197630	საბეჭდი ქაღალდი	3000	კონსოლიდირებული ტენდერი	I კვარტალი	IV კვარტალი	
3	64212000	მობილური ტელეფონების მომსახურება	17000	კონსოლიდირებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
4	72400000	ინტერნეტის მომსახურება	18700	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	

5	22200000	საქ პრესის პერიოდული ჟურნალ-გაზეთები	4000	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
6	39100000	საოფისე ინვენტარი და ავეჯი	11100	გამარტივებული ელ.ტენდერი	I კვარტალი	IV კვარტალი	
7	55500000	სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მომსახურება	137361	გამარტივებული ელ.ტენდერი	I კვარტალი	IV კვარტალი	
8	79820000	ბეჭდვასთან დაკავშირებული მომსახურებები	4800	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
9	22810000	ქადალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები	2000	გამარტივებ ული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
10	70333000	საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა	11000	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
11	32250000	მობილური ტელეფონის აპარატები	4000	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
12	92220000	ადგილობრივი ტელევიზიის მომსახურება	15000	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	

13	22900000	სხვადასხვა ნაბეჭდი მასალა	4800	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
14	64100000	საქფოსტის მომსახურება	4800	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
15	30200000	კომპიუტერული მოწყობილობები და მარაგი	6500	გამარტივებული ელ.ტენდერი	I კვარტალი	IV კვარტალი	
16	30200000	კომპიუტერული მოწყობილობები და მარაგი	10000	კონსოლიდირებული ტენდერი	I კვარტალი	IV კვარტალი	
17	65100000	მოხმარებული წყლის ღირებულება	6200	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
18	65400000	მოხმარებული ელ.ენერგიის ღირებულება	142000	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
19	79700000	ადმინისტრაციული შენობის დაცვა	55320	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
20	50100000	სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და მომსახურება	12380	გამარტივებული ელ.ტენდერი	I კვარტალი	IV კვარტალი	

21	50100000	მანქანის რეცხვა	4800	გამარტივებული ელ.ტენდერი	I კვარტალი	IV კვარტალი	
22	50100000	საგრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და მომსახურება	13000	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
23	92512000	არქივის მომსახურება	10000	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
24	60170000	სამგზავრო ტრანსპორტის დაქირავება მძღოლთან ერთად	13800	გამარტივებული ელ.ტენდერი	I კვარტალი	IV კვარტალი	
25	09100000	საწვავი	115000	კონსოლიდირებული ტენდერი	I კვარტალი	IV კვარტალი	
26	79200000	აუდიტი შეფასება	4900	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
27	50312000	კომპიუტერული მოწყობილობების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება	4900	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
28	71631300	შენობის ტექნიკური დათვალიერება	4100	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	

29	55300000	რესტორნებისა და სახოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება	3000	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
30	16700000	ტრაქტორი	20000	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
31	71200000	საკადასტრო ზომვითი ნახაზები	4900	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
32	22458000	შეკვეთით ნაბეჭდი მასალა	4500	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
33	35800000	ინდივიდუალური და დამხმარე მოწყობილობები	2700	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
34	48517000	საიტების მომსახურება	4500	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
35	42512200	კედლის კონდიციონერები	3000	გამარტივებუ ლი შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
36	72200000	ფინანსური ანალიზისა და ბუღალტერიის პროგრამული პაკეტები	3000	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
37	39294100	საინფორმაციო და სარეკლამო პროდუქცია	3000	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
38	45200000	სამშენებლო სამუშაოები	225000	ელ.ტენდერი	I კვარტალი	IV კვარტალი	
39	71300000	საპროექტო	5000	გამარტივებული ელ.ტენდერი	I კვარტალი	IV კვარტალი	

40	15893100	შერეული საკვები პროდუქტები	4800	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
41	39700000	საოჯახო ტექნიკა	1000	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
42	34351100	მსუბუქი ავტომანქანის საბურავი	2600	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
43	31120000	გენერატორი	4000	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
44	31400000	აკუმულატორები,დენის პირველადი წყაროები და პირველადი ელემენტები	2000	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
46	16100000	სოფლის მეურნეობის	20000	გამარტივებული ელტენდერი	I კვარტალი	IV კვარტალი	
47	1840000	სპეციალური ტანსაცმელი და აქსესუარები	3000	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
48	7960000	პერსონალის დაქირავებასთან დაკავშირებული მომსახურებები	5000	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
49	38300000	საზომი ხელსაწყოები	1000	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	I კვარტალი	

50	79412000	ფინანსურ მენეჯმენტთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებები	4800	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	IV კვარტალი	
51	33111000	რენტგენის აპარატურა	4500	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	III კვარტალი	
52	55500000	სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მომსახურება	12639	გამარტივებული შესყიდვა	I კვარტალი	II კვარტალი	გადაუდებელი აუცილებლობა
53	50100000	სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და მომსახურება	3000	გამარტივებული შესყიდვა	II კვარტალი	IV კვარტალი	საქართველოს მთ. 2011 წ. 21,01, №26 დადგენილება.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №19

2015 წლის 30 მარტი

ქ. წალენჯიხა

საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასის განსაზღვრის
და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების მე–11 მუხლის მე-7 პუნქტისა და მე–15 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი1.
განისაზღვროს საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი:
ა) კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის—100 ლარი.
ბ) ფიზიკური პირებისათვის –50 ლარი.

მუხლი2.
დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის თანდართული ფორმა.

მუხლი3.
დადგენილება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გამოქვეყნებისთანავე;

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: **თემურ ღვინჯილია**

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 30 მარტი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N16

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება

1.დამტკიცდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა და პრივატიზების გეგმა, წარმოდგენილი დანართი N1 და N2–ის შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ.ქობალია ქ. 12).

საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ფვინჯილია

დანართი 1

N	მუნიციპალიტეტის ქონების ადგილმდებარეობა,მისამართი	მუნიციპალიტეტის ქონების დასახელება	შენიშვნა
1	ჭალეს ტერიტორიული ერთეული/ფოცხო–ეწერი	ყოფილი სახანძრო დაცვის სამსახურის შენობა	
2	ჯგალის ტერიტორიული ერთეული/სქურის უბანი	1100კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	
3	ჯვარის ტერიტორიული ერთეული/კოსტავას ქუჩა N15	შპს „ჯვარის აგრარული ბაზარი“	
4	წალენჯიხის ტერიტორიული ერთეული/მაიაკოვსკის ქუჩა	154,52 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი	
5	ჩქვალერის ტერიტორიული ერთეული	ყოფილი მეცხოველეობის ფერმის შენობა	
6	წალენჯიხის ტერიტორიული ერთეული/ წმ.ნინოს ქუჩა	2319.807 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	

N	მუნიციპალიტეტის ქონების ადგილმდებარეობა,მისამართი	მუნიციპალიტეტის ქონების დასახელება	მიწის ნაკვეთი კვმ.	საკადასტრო კოდი	პრივატიზების ფორმა	პრივატიზების დრო
1	ჭალეს ტერიტორიული ერთეული/ფოცხო–ეწერი	ყოფილი სახანძრო დაცვის სამსახურის შენობა	969,0	47.12.32.030	პირობითი	აპრილი
2	ჯგალის ტერიტორიული ერთეული/სქურის უბანი	არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	1 100,0	47.13.36.114	პირობითი	აპრილი
3	ჯვარის ტერიტორიული ერთეული/კოსტავას ქუჩა N15	შპს „ჯვარის აგრარული ბაზარი“	2 280,0	47.14.35.015	პირობითი	მაისი
4	წალენჯიხის ტერიტორიული ერთეული/მაიაკოვსკის ქუჩა	არასაცხოვრებელი ფართი	154,52	47.14.45.217 .01.502	პირობითი	აგვისტო
5	ჩქვალერის ტერიტორიული ერთეული	ყოფილი მეცხოველეობის ფერმის შენობა	4500,0	47.10.38.001	პირობითი	აგვისტო
6	წალენჯიხის ტერიტორიული ერთეული/ წმ.ნინოს ქუჩა	არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	2319,807	47.11.44.302	პირობითი	აპრილი

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 30 მარტი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N17

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 108–ე მუხლის შესაბამისად, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" 2015 წლის 25 თებერვლის N5/10541 მომართვის საფუძველზე,

1.გადაეცეს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" უსასყიდლოდ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ჯვარი კოსტავას ქუჩა N26-ში მდებარე უძრავი ქონება (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N47.14.35.003) საცხოვრებელი ფართების დევნილთათვის გადაცემის მიზნით.

2. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ.ქობალია ქ. 12).

საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საქართველოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო COUNCIL OF MUNICIPALITY OF TSALENJIKHA GEORGIA 242739248

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 30 მარტი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N18

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გაცემაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 122–ე მუხლის მე-4 პუნქტის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის შესაბამისად,

1.მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის გამგებელს, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით შპს „აიეტის" დირექტორ ზვიად ფიფიას გადასცეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება:
ა) ქ.ჯვარი ფიფიას ქუჩაზე (ომუნეს უბანი) მდებარე 2816 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (სარგისტრაციო N47.14.31.014) 34,406 კვ.მ. არასასოფ;ო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი იჯარის ფორმით აღნაგობის უფლებით (ინტერნეტანძის მშენებლობისთვის) .
2.განისაზღვროს იჯარის ვადა 3 წლით და წლიური ქირის საფასური-600 ლარით.

3. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ. ყიფშიძის ქ. 12).

საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 30 მარტი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N19

მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების-ავტოგრეიდერი VOLVO G740–ის-გაქირავებისას ქირის საფასურის განსაზღვრაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 36–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

1.მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის გამგებელს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების-ავტოგრეიდერი VOLVO G740–ის- გაქირავებისას ქირის საფასური განსაზღვროს შპს „აუდიტ–ექსტრას“ 2015 წლის 13 მარტის N11/11–1 კალკულაციის მიხედვით (თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ.ქობალიას ქ.12).

საკრებულოს თავმჯდომარე თემურ დვინჯილია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

30 მარტი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N20

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

1.მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის გამგებელს, გადასცეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში:

ა) ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრს" არსებობის ვადით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება:

ა.ა) ქ.წალენჯიხა წმ.ნინოს ქუჩაზე მდებარე ფეხბურთის ცენტრალური სტადიონის შენობა–ნაგებობები (გარდა საჭიდაო დარბაზისა), საბალანსო ღირებულებით –204,0 ათასი ლარი (მიწის,უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N47.11.44.005).

ა.ბ) ქ.წალენჯიხა წმ.ნინოს ქუჩაზე მდებარე სპორტის სასტუმროს პირველ სართულზე არსებული 250 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, საბალანსო ღირებულებით –13,4 ათასი ლარი (მიწის,უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N47.11.44.004).

ა.გ) ქ.ჯვარი კოსტავას ქუჩაზე მდებარე სპორტკომპლექსის შენობა–ნაგებობები საბალანსო ღირებულებით –92,2 ათასი ლარი (მიწის,უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N47.14.02.068).

ა.დ) დანართ N1–ში მითითებული მოძრავი ქონება.

ბ) ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრს" უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება - ქ.წალენჯიხა სალიას ქუჩაზე მდებარე კინოთეატრის შენობა და მასზე დამაგრებული 1000კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის,უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N47.11.43.098).

2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე;

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ.ქობალია ქ. 12).

საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია